თემატური გეგმა

საგანი	გეოგრაფია
კლასი	მე–7
თემა	„დედამიწა“
სავარაუდო საათების რაოდენობა	26 საათი (+4)
თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	• რუკა დედამიწის ან მისი რომელიმე ნაწილის შემცირებული და განზოგადებული გამოსახულებაა. რუკაზე პირობითი აღნიშვნებით სხვადასხვა ინფორმაცია გამოისახება; • პარალელები და მერიდიანები წარმოსახვითი ხაზებია, რომლებიც დედამიწის რაიმე წერტილის განსაზღვრაში გვეხმარება; ეკვატორი ყველაზე გრძელი პარალელია; ყველა მერიდიანი თანაბარი სიგრძისაა; • დედამიწას ორი გეოგრაფიული პოლუსი აქვს: ჩრდილოეთი და სამხრეთი; • დედამიწის ზედაპირზე წყალი უფრო მეტია, ვიდრე ხმელეთი; • დღე–ღამისა და სეზონების ცვალებადობას დედამიწის ფორმა, წარმოსახვითი ღერძისადა მზის გარშემო მოძრაობა განაპირობებს; • მზე არათანაბრად ათბობს დედამიწას; • დედამიწაზე გვხვდება რელიეფის სხვადასხვა ფორმა; • გეოგრაფიული გარსები ურთიერთდაკავშირებულია და ურთიერთქმედებს ერთმანეთზე; • დედამიწაზე მრავალფეროვანი ბუნებრივი ზონა გვხვდება; • დედამიწის შესახებ არსებული წარმოდგენები პერიოდულად იცვლებოდა, რაშიც გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა დიდი წვლილი შეიტანა; • დედამიწაზე მოსახლეობა სხვადასხვა მახასიათებლით (სტრუქტურა, სიმჭიდროვე) განსხვავდება ერთმანეთისგან; • დედამიწაზე მოსახლეობა არათანაბრად არის განაწილებული; • მსოფლიო ოკეანე ერთიანია; • ოკეანეები ერთმანეთისგან ფიზიკური შემადგენლობით და ქიმიური თვისებებით განსხვავდება; • დედამიწაზე წყლის მარაგი თითქმის არასოდეს იცვლება, თუმცა დაბინძურების შედეგად მასზე ხელმისაწვდომობა შეიძლება შეიზღუდოს; • თბილი და ცივი დინება გავლენას ახდენს ჰავაზე; • ოკეანეების ფლორა და ფაუნა მრავალფეროვანია; ადამიანის სამეურნეო საქმიანობა გავლენას ახდენს ბუნებაზე.
თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები:	• როგორ გამოვიყენო რუკა დედამიწის დასახასიათებლად? • როგორ გამოვიყენო ინფორმაციის სხვადასხვა წყარო დედამიწის შესაწავლად? როგორ გამოვიყენო ცხრილები, გრაფიკები და დიაგრამები დაკვირვების შედეგების წარმოსაჩენად? • როგორ გროვდებოდა და ვითარდებოდა გეოგრაფიული ცოდნა? • რატომ ხდება მიწისძვრები და ვულკანური ამოფრქვევები? • რატომ იცვლება დედამიწაზე სეზონები? რატომ გვაქვს დედამიწის სხვადასხვა ადილას განსხვავებული სეზონი? • რატომ გვხვდება დედამიწაზე უსწორმასწორო ფორმები? • რატომ გვხვდება დედამიწის სხვადასხვა ნაწილში განსხვავებული ბუნებრივი პირობები? • როგორ ჩნდება და გროვდება ხმელეთის წყლები (ტბები, მდინარეები, გრუნტის წყლები, მყინვარები, ჭაობები)?

	• როგორ განაპირობებს ბუნებრივი პირობები და რესურსები მოსახლეობის საქმიანობის ტიპებს? • რატომ არის დედამიწაზე მოსახლეობა არათანაბრად განაწილებული? • რატომ განსხვავდება ერთმანეთისგან დედამიწის სხვადასხვა ნაწილში მოსახლეობის მახასიათებლები? • რატომ არის წყალი არათანაბრად განაწილებული დედამიწაზე? • რა გავლენას ახდენს ოკეანე ჰავის ჩამოყალიბებაზე? • რა გავლენას ახდენს ოკეანე ადამიანის სამეურნეო საქმიანობაზე? • როგორ გავლენას ახდენს გლობალური კლიმატცვლილება ოკეანეზე? • რა განაპირობებს მსოფლიო ოკეანის ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნებას? • როგორ იცვლება ანთროპოგენური გავლენით სიცოცხლე ოკეანეში? • რატომ არ მცირდება წყლის მოცულობა მსოფლიო ოკეანეში? • რატომ განსხვავდება ოკეანეები ფიზიკურ-ქიმიური თვისებების მიხედვით? • როგორ ყალიბდება ოკეანის დინებები და რა მნიშვნელობა აქვს მათ? • როგორ გავლენას ახდენს ადამიანის სამეურნეო საქმიანობა გეოგრაფიულ გარემოზე?	
თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები:	1. დედამიწის შესახებ არსებული წარმოდგენების ცვლილება; 2. დედამიწის ფორმა და მოძრაობა; **3.** მსოფლიო ოკეანე; მოსახლეობის განაწილება დედამიწაზე.	